მოციქულისა და მახარებლის იოანე ღვთისმეტყველის ხსენების დღეს თურქეთში ეფესოს მახლობლად მისი დაკრძალვის ადგილას საღვთო ლიტურგია აღევლინა

2021 წლის 9 ოქტემბერს, მოციქულისა და მახარებლის იოანე ღვთისმეტყველის აღსრულების დღეს, თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოსკოვის საპატრიარქოს მორწმუნეების სულიერ მზრუნველობაზე პასუხისმგებელმა მღვდელმა გიორგი სერგეევმა, ქალაქ სელჩუკში ეფესოს მახლობლად, მისი დაკრძალვის ადგილას, საღვთო ლიტურგია აღავლინა. ღვთისმსახურებაში მონაწილეობა ასევე მიიღო ალანიაში მოსკოვის საპატრიარქოს მორწმუნეების სულიერ მზრუნველობაზე პასუხისმგებელმა მღვდელმა დიმიტრი ბოგატირმა.

ღვთისმსახურებაზე მრავალრიცხოვანი მომლოცველი ლოცულობდა, რომლებიც ჩასულები იყვნენ სტამბოლიდან, იზმირიდან, ბურსიდან, ანტალიიდან, ალანიიდან, კუშადასიდან; ასევე მოსკოვის ოლქის მომლოცველთა ჯგუფი.

მრჩობლ კვერექსზე გაჟღერდა კორონავირუსული ინფექციისგან დასახსნელი სავედრებელი ლოცვები, ვედრება ექიმებისთვის, და ასევე აღვლენილ იქნა სნების განმფენი ქარის დროს საკითხავი ლოცვა.

ლიტურგიის დასასრულს მამა გიორგიმ ქადაგება წარმოთქვა. მღვდელმა მადლობა გადაუხადა თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს ღვთისმსახურების ჩატარების ნებართვისთვის, ასევე რუსეთის ა.ი. სოლჟენიცინის სახელობის კულტურის საზოგადოების თავმჯდომარეს ა. პონომარევს და კ. ალიკანის ხელმძღვანელობის ქვეშ არსებულ ანტალიის პროვინციის რუსულენოვანი მართლმადიდებელი მორწმუნეების საზოგადოებას მორწმუნეთა მოლოცვის ორგანიზებაში დახმარებისთვის.

Патриархия.ru./

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88220/